



უნივერსიტეტი



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№4 2011

მსოფლიოს ქვეყნების აუდიტორიები თსუ-ში – თურქეთი



ყველა საელჩოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას თსუ-ის კორპუსში თავისი სახელობის აუდიტორიის გახსნის შესაძლებლობა აქვს.

გვ. 3

“ოქსფორდელები”



უძველეს ინგლისურენოვან უნივერსიტეტს, ოქსფორდს, საქართველოდან უკვე ბევრი კურსდამთავრებული ჰყავს. თსუ-ის კადრებმა ამ უდიდესი გრადიციებისა და სახელის მქონე უნივერსიტეტში სხვადასხვა ფაკულტეტებზე შეძლეს “შეღწევა” და ადგილის მოპოვებაც კი.

გვ. 3

„არაპისტოვის ვიქნებით საჩუქარი“



თსუ-ის კალათბურთელთა ნაკრები ორი მნიშვნელოვანი შეხვედრისთვის ემზადება. 2011 წლის 7 ოქტომბერს იწყება დღეუ ღადიანის სახელობის თასის გათამაშება, ხოლო 15 ოქტომბერს საქართველოს ჩემპიონატი (პირველი ლიგა).

გვ. 4

სეკვით შემოვლილი მსოფლიო



მადრიდი, ვალენსია, სარაკუბა, ბარსელონა – ასეთი იყო ქორეგრაფიული ანსამბლის „უნივერსიტეტი“ 2011 წლის მაგისტრის გურნეს მარშრუტი. მოცეკვავეები თბილისში სულ ცოცხალი წინ აღბრუნდნენ.

გვ. 4

„უნივერსიტეტი“ სკოლის მოსწავლეებისთვის

რისგან შედგება ჩვენი სამყარო? რა ქმნის ჩვენს გარშემო წესრიგს? როგორ გამოიგონა ადამიანი ძრავა, კომპიუტერი, ინტერნეტი, მობილური ტელეფონი? რა არის ინფორმაცია და როგორ ხორციელდება მისი გადაცემა? სად ვაღის მღვარი ოცნებასა და შესაძლებლობებს შორის? – ამ კითხვებზე პასუხის ძიება ქართულ მოზარდებს უკვე რამდენიმე წელია, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად თსუ-ის ნორჩ ფიზიკოსთა სკოლაში შეუძლიათ; სახლებს ეკონომიკის შესახებ, ამ სფეროში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანთა ისტორიებს და საინჟინერო შემთხვევებს მსოფლიო ეკონომიკიდან მოსწავლეები ნორჩ ეკონომისტთა სკოლაში ეცნობიან; სამედიცინო სფეროზე ინფორმაციის მიღება, სტიმულური დაძლევა და დაავადებებზე მეტის გაგება მოზარდებს ნორჩ მედიკოსთა სკოლაში შეუძლიათ; ქართულ და საერთაშორისო პოლიტიკაში გზის გაკაფვას მათ ნორჩ პოლიტიკოსთა სკოლა სთავაზობს; ძველ და თანამედროვე სამართალს მარტივ ენაზე ახალგაზრდებს თსუ-ის ნორჩ იურისტთა სკოლაში აცნობენ; ნორჩ ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, გეოგრაფთა თუ გეოლოგთა, მათემატიკოსთა თუ ინფორმატიკოსთა, ქიმიკოსთა და ბიოლოგთა სკოლებში ყველა მოსწავლეს შეუძლია მისთვის



საინჟინერო სფერო იპოვოს, საკუთარი ცოდნა გამოცადოს და სამეცნიერო შესაძლებლობები გამოავლინოს: თსუ-ის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის ფარგლებში შექმნილი “თსუ - საბავშვო უნივერსიტეტი” მე-9 - მე-12 კლასის მოსწავლეებს 2007 წლი-

დან სთავაზობს უფასო ლექციათა და ლაბორატორიულ შეყვანებითა კურსს. სკოლის მიზანია მომავალი სტუდენტების დახმარება პროფესიის არჩევანის გაკეთებაში, დიდ მეცნიერებასთან მიახლოებაში და საუნივერსიტეტო პროგრამისთვის მომზადებაში.

გაზრდულა გვ-2 გვ.

თსუ „ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ – დამაპაპვირებალი რბოლი ქართველებსა და აფხაზებს შორის

დაახლოებით სამი წლის წინ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის სახით “ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სამეცნიერო კვლევითი ცენტრი” შეიქმნა. თსუ-მ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კვლევის მიზანს იყვინოთ. “ეს არ არის აქტიური პოლიტიკა, მაგრამ ეს არის ის, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას აქტიური პოლიტიკა,” – ასე ხსნის ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დარეგულირებაში ცენტრის ფუნქციას მისი დირექტორი მურაბ შენგელია.

გაზრდულა გვ-2 გვ.

სამონადირეო კომპლექსში აღმოჩენილი ტაპარი



ბრინჯაოს სამკაულები და შრომის იარაღები, თიხის ჭურჭელი, სამარხი ადამიანის ძვლები და საქონლის კბილი – ეს საგარეჯოში, “ივრის ჭალების” სამონადირეო კომპლექსში აღმოჩენილი “წმინდა ფშანის” სამლოცველოს გათხრებისას ნაპოვნი არგეფაქების მხოლოდ მცირე ნაწილია. თსუ-ის არქეოლოგები გათხრების მასშტაბიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, სამომავლოდ ამ ადგილზე ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით ძალზე ღირებული ათი ათასობით ექსპონატის აღმოჩენას ვარაუდობენ. უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიციანი დარწმუნებულია, რომ თსუ-ს ამ ფართომასშტაბიანი გათხრების წარმოების პოტენციალი შესწევს. იგი ამბობს, რომ უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების მონაწილეობით არქეოლოგიური სამუშაოები ადვილად განხორციელდება.

გაზრდულა გვ-2 გვ.

ამერიკული წიგნის კლუბი - თსუ-ში

2011 წლის შემოდგომაზე თბილისში, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკული წიგნის კლუბი გაიხსნება. ამერიკიდან საქართველოში უკვე გამოგზავნილია 60 000- მდე წიგნი. არჩევანი დიდი - ინგლისურენოვანი მკითხველს შეუძლია გაეცნოს ლიტერატურას მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან: ისტორია, პოლიტოლოგია, მედიცინა, ქიმია, მათემატიკა, სამართალი, ბიზნესი, ეკონომიკა. ბიბლიოთეკაში იქნება მზადგებული ლიტერატურის ფართო არჩევანიც, მრავალკომპლექსური ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკიდან, ინგლისური ენის სასწავლო წიგნები, პოპულარული პერიოდული გამოცემები, მაგალითად 1938 წლიდან დაწყებული “National Geographic”-ის ყველა ნომერი. საქართველოში დაწყებულ არ არსებობს მსგავსი მასშტაბის ინგლისურენოვანი

ბიბლიოთეკა. პროექტს, ამერიკელი პარტნიორების დახმარებით, არასამთავრობო ორგანიზაცია “სამოქალაქო განათლებისა და სოციალური თანასწორობის ცენტრი” (ცესეც) ახორციელებს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტთან ერთად. ამერიკული წიგნის კლუბი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განთავსდება. წიგნებითა და კლუბის ფარგლებში განხორციელდება საგანმანათლებლო პროექტებით სარგებლობა უფასოდ შეძლებული არა მხოლოდ თსუ-ის სტუდენტებს, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს. ამერიკული ორგანიზაციებიდან პროექტის პარტნიორები არიან: ამერიკის ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფი, ბლაუთ ქაუნთის დაძმობილებული ქალაქების პროგრამა და

ქალაქ ალკოს მუნიციპალიტეტი. სტივენ პილისი – ქალაქ ალკოსის საგარეო აგენტი და მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი: “ეს არის ცვლილება და განვითარების გადამდები შესაძლებლობა. ამ პროექტში სიხარულით ჩაერთო არაერთი ამერიკული კომპანია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო კრხოვილის გადამამუშავებისა და გრანსპორტირების კომპანია. მათ შეფუთეს და კონტეინერში ჩაგვირთეს 15 ტონა წიგნის 40 ათას ცალამდე წიგნი, რომელიც გვით ჩამოვა ფოთამდე და შემდეგ 600 მისს გაივლის უნივერსიტეტის შენობამდე. უამრავი წიგნი გაიღო ორგანიზაცია ბალუნთ ქაუნთიმ და ასევე ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფმა. ასევე მინდა განაკუთრებით აღვნიშნო ლენი მური, ბიბლიოთეკის მეგობართა საზოგადოების პრეზიდენტი და ალან ბარის ბლაუნგ ქაუნთის დამე-

გაზრდულა გვ-3 გვ.

